ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N179

გამარტივებული შესყიდვა

ქ. ბათუმი 03 ნოემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ – ბათუმის ტურისტული სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თამარ ხაბაძის სახით და მეორეს მხრივ ი/მეწარმე „თამთა მექვაბიძის" სახით (შემდგომში "მიმწოდებლად" წოდებული), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტისა და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისმე-10[1]-ე მუხლის 3-ე პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია მკერავის მომსახურების (CPV-98393000) შესყიდვა.
2.2. მომსახურების შესყიდვა გულისხმობს ტურისტული საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლებისათვის სამუშაო ფორმის შეკერვას, რომელიც შედგება პიჯაკისა და ჟილეტისაგან. პიჯაკზე ამოქარგული იქნება "i" ნიშნის ლოგო.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ერთეული სამუშაო ფორმის ღირებულება შეადგენს 310 (სამასათი) ლარს, სულ ჯამში 8 ცალი სამუშაო ფორმის - 2480 (ორიათას ოთხასოთხმოცი) ლარი და 2 (ცალი) პიჯაკი, ერთეულის ფასი 260 (ორას სამოცი) ლარი, სულ 520 (ხუთას ოცი) ლარი.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 3000 (სამიათასი) ლარს, რომელიც მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირია:
ა) ლეილა გოგუაძე - საინფორმაციო ცენტრების კოორდინატორი.

4.3. მომსახურების მიღება-ჩაბარება ხორციელდება გაწეული მომსახურების ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
4.4. მიმწოდებელი მომსახურების შესრულებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღის ვადაში.
4.5. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხოდ განხორციელებული მომსახურების მიღებაზე.

მუხლი5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
5.1.1 მიაწოდოს სათანადო ხარისხით შერულებული მომსახურება;
5.1.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;
5.1.3 იკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ ზარალისათვის, რომელიც გამოიწვია მიმწოდებლის ვალდებულებების არაჯეროვანმა შესრულებამ და არა შემსყიდველის დაუდევრობამ.
5.2. შემსყიდველი ვალდებულია:
5.2.1. მიმწოდებელს აუნაზღაუროს ხელშეკრულებით გათლისწინებული მომსახურების საფასური.
5.3. შემსყიდველი უფლებამოსილია წუნის აღმოჩენის ან/და უხარისხო მომსახურების გაწევის შემთხვევაში, მიმართოს მიმწოდებელს ამ ნაკლის გამოსწორების მიზნით, დამატებითი საფასურის გარეშე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.
6.2. შემსყიდველის მხრიდან ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

7. გარანტია

7.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ხარისხი და სტანდარტები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს.
7.2. 7.1.პუნქტში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.
7.3. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
7.4. მიმწოდებლის მიერ 7.3. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარჯების ანაზღაურება, ან ეს თანხა გამოქვითოს ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.01 პროცენტის ოდენობით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
9.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.
9.4. 9.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
9.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაუწიოს მომსახურება;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
11.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.3. ხელშეკრულების 11.1 მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.
11.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 15 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 11.1. მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
11.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისას, მხარეები ათი დღით ადრე წერილობით აცნობებენ ერთმანეთს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

13.2 "შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ერთი თვის სახელშეკრულებო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში "მიმწოდებელი" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

13.3 "მიმწოდებელი" უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება დასუფთავების მომსახურების ტარიფის ცვლილებების შესახებ, რომელიც წერილობით ეცნობება "შემსყიდველს" ერთი თვით ადრე;

13.4 სადავო საკითხებს მხარეები წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;

13.5 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს;

13.6 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან, ერთი ინახება "შემსყიდველთან" , ხოლო მეორე "მიმწოდებელთან".

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა(ა)იპ „ბათუმის ტურისტული სააგენტო“	ი/მ „თამთა მექვაბიშვილი“
ქალაქი ბათუმი , ფარნავაზ მეფის ქ. N84/86	ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ.123
საიდენტიფიკაციო კოდი: 445388054	პირადი N61001032047
სს „ბაზის ბანკი“	სს "პროკრედიტ ბანკი"
ბანკის კოდი: CBASGE22	ბანკის კოდი MIBGBE22
ანგარიშის ნომერი: GE81BS0000000037436146	ა/ნ GE02PC0163600100011885
სს „ლიბერთი ბანკი“	
ბანკის კოდი: LBRTGE22	
ა/ნ GE41LB0115128492083000	
დირექტორის	ი/მეწარმე
მოვალეობის შემსრულებელი	
თამარ ბაბაძე	თამთა მექვაბიძე